

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის
დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს:

- ✓ ინფორმაცია საქართველოსა და უცხოეთში მის თემატიკაში მიმდინარე სამეცნიერო კვლევა-ძიებების შესახებ;
- ✓ კვლევა-ძიებების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები და საშუალებები.

უფროს მეცნიერ თანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:

- ✓ გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში), რომელთაგან 1 მაინც – მაღალრეიტინგულ, საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად (მაგ., Elsevier scopus, Web of Science და სხვა ბაზებში განთავსებულ) გამოცემებში;
- ✓ არანაკლებ 3 მოხსენებით უნდა იყოს გამოსული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

მეცნიერი თანამშრომელი

მეცნიერმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს:

- ✓ მისი მონაწილეობით მიმდინარე კვლევა-ძიებების მიზნები და ამოცანები;
- ✓ ინფორმაცია საქართველოსა და უცხოეთში ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევა-ძიებების შესახებ;
- ✓ მიღებული ინფორმაციის, კვლევების, განზოგადებისა და დამუშავების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები.